



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის  
საბჭოს გადაწყვეტილება  
ქ. თბილისი



MES 8 24 0000046656



18/01/2024

სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის  
"საშემსრულებლო ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის  
თაობაზე

**1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები**

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ.

1.3. აკრედიტაციის დებულების 27-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

**2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება**

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოდგენილ იქნა სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

კონსერვატორიის 2023 წლის 01 მაისის № 01/356 (ცენტრში რეგისტრაციის - №475674; 01.05.2023) წერილი "საშემსრულებლო ხელოვნების" საბაკალავრო, "საშემსრულებლო ხელოვნების" სამაგისტრო, "საშემსრულებლო ხელოვნების" სადოქტორო და "ჯაზის ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის თაობაზე.

2.2. ცენტრის 2023 წლის 27 ივნისის №773996 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის 2023 წლის 09 სექტემბრის №1076753 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც დაწესებულებაში ვიზიტი "საშემსრულებლო ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით განახორციელა 2023 წლის 15 და 16 სექტემბერს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	•			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	•			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		•		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	•			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	•			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2023 წლის 28 დეკემბერს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება.

### **3. სარეზოლუციო ნაწილი**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 14 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

### **გადაწყვიტა:**

1. დაკმაყოფილდეს იქნა სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "საშემსრულებლო ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით;
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "საშემსრულებლო ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2023 წლის 18 იანვრის სხდომის №46029 ოქმის №02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 3).
4. დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

### **რეკომენდაციები:**

- 4.1 რეკომენდებულია იმ ძველი ინსტრუმენტების ჩანაცვლება/განახლება, რომლებიც უკვე აღარ არის სწავლებისთვის ვარგისი; გარდა ამისა, აუდიტორიები მაქსიმალურად უნდა შეავსოთ გაუმჯობესებული ტექნიკური აღჭურვილობით (ხმის გამაძლიერებლები, მონიტორები, ხმის საიზოლაციო სისტემები), რომ სასწავლო პროცესი სათანადოდ წარიმართოს;
- 4.2 რეკომენდებულია, რომ შეიმუშაოთ კლასების დაჯავშნის ეფექტური სისტემა, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ ინდივიდუალური გაკვეთილები მათთვის სასურველ დროსა და ადგილას;
- 4.3 რეკომენდებულია, ლიტერატურის გათანამედროვეება/განახლება, ასევე პროგრამებზე ქართულენოვანი ლიტერატურის დამატება;

4.4 სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ წვდომა დამოუკიდებელ სამუშაო სივრცეზე. თეორიული სამუშაოებისას, კვლევითი ხელსაწყოების გამოყენება უნდა იყოს დაცული;

4.5 რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებლებისთვის სამუშაო შეხვედრების რეგულარულად მომზადება, რათა გაეცნონ ხარისხის განვითარების თემებთან დაკავშირებულ სიახლეებს და აქტიურად მიიღონ მონაწილეობა შიდა ხარისხის განვითარებაში.

#### **რჩევები:**

4.6 განიხილეთ სტუდენტების წახალისებისა და მხარდაჭერის გზები, რათა მოიძიონ გარე დაფინანსება, განსაკუთრებით კვლევითი გრანტები;

4.7 სასურველია, მეტი ყურადღება დაეთმოს სტუდენტების მიერ აუდიტორიების დაჯავშნას და დროის გათვალისწინებას. სასურველია, კონსერვატორიის მეორე კორპუსის რეაბილიტაცია და სივრცეების გადანაწილებით თანამშრომლებისა და სტუდენტებისთვის მეტი კომფორტის შექმნა. პერსონალის განვითარების მიზნით, სასურველია სტუდენტებთან თანამშრომლობა საშემსრულებლო კუთხით;

4.8 სასურველია, მოიძიოთ სახსრები პრობლემური მუსიკალური ინსტრუმენტების განახლებისა და აღდგენისთვის;

4.9 განაგრძეთ პროგრამის მიზნების ფორმირებაში თანამედროვე საერთაშორისო მიდგომების ჩართვის გზების მოძიება, რათა უზრუნველყოთ მათი თანამიმდევრულობა, ლოგიკურობა და ის თუ რამდენად შეესაბამება კონსერვატორიის სპეციალობის დარგს.

4.10 გააგრძელეთ კარგი პრაქტიკის ძიება საერთაშორისო კონტექსტში, რათა უზრუნველყოთ სწავლის შედეგების თანამედროვე ჩარჩო და მისი კავშირი სტუდენტის სწავლასა და შეფასებასთან;

4.11 უზრუნველვყავით კონსტრუქციული თანხვედრა სწავლის შედეგების ყველა დონეს შორის;

4.12 სასურველია სწავლის შედეგების ყოველწლიური ანგარიშის მომზადება, საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზი, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების დინამიკის გააზრებას;

4.13 სწავლის შედეგების ანალიზის ზუსტი შედეგების მისაღებად, სასურველია სასწავლო პროცესის ყველა მნიშვნელოვანი ინდიკატორის ანალიზი;

4.14 სასურველია სწავლის შედეგების კორექტირება არა მხოლოდ სასწავლო გეგმაში, არამედ აკადემიურ კურსებშიც და სასურველია მათი ფორმულირება გაზომვადი პრედიკატების გამოყენებით, რათა შედეგი გაზომვადი და კონკრეტული იყოს;

4.15 სასურველია, რომ საშემსრულებლო ხელოვნების საბაკალავრო პროგრამაში დეტალურად გაიწეროს კრედიტების განაწილება, საბოლოო ნაწარმის შინაარსი და ქულების მინიჭების სქემა. სასურველია, რომ გაიზარდოს სასწავლო მასალების რაოდენობა რიდერების სახით და რომ დამატებით ლიტერატურაში მითითებული უცხოენოვანი მასალები ქართულად ითარგმნოს, რათა გამრავალფეროვნდეს აღნიშნული საგანმანათლებლო რესურსები;

4.16 ჩაერთეთ სტუდენტთა დასაქმების პროცესის პერდიოდული განხილვის პროცესში, რათა უზრუნველყოთ, რომ ის შეესაბამება პროგრამის მოლოდინებს;

4.17 სასურველია, მეტი დრო დაეთმოს საორკესტრო ლიტერატურის უფრო რთული ეპიზოდების სწავლას, რადგან ეს მოთხოვნა დაფიქსირდა დამსაქმებლების მხრიდან.


5. რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 1 წელი - 2024 წლის 30 დეკემბერი.

6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 28 დეკემბერს.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში

წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე ([www.eqe.ge](http://www.eqe.ge)) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების  
აკრედიტაციის საბჭო  
საბჭოს მდივანი  
რატიანი რატი



რ. რატიანი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის  
საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ბუჩაშვილი გოდერძი



№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საშემსრულებლო ხელოვნება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 298, 2011, 18 ნოემბერი
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საშემსრულებლო ხელოვნება
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი საშემსრულებლო ხელოვნებაში (კლავიშოანი საკრავები, სიმებიანი საკრავები/ჩასაბერი საკრავები/დასარტყამი საკრავები/ვოკალი/საგუნდო დირიჟორობა)
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ალექსანდრე გრიბოედოვის ქუჩა N8/10
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2023 წლის 28 დეკემბერი
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	1 წელი (2024 წლის 30 დეკემბერი)
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	29/12/2030